585
1960

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
უწყებები

№ 12 (110) 30 აგვისტო 1960 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

129. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა არმიის საჰ-ხედრო მოსამსახურეთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

130. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ატლანტიკის ოკეანის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მეთევზეობის თაობაზე კონვენციის , რატიფიკაციის შესახებ.

131. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის შეია-რაღებული ძალების დისციპლინური და შინაგანი სამსახურის წესდებების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი პირველი

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

129 საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

სარდლობის დავალების შესრულების დროს გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის დაჯილდოვდნენ:

ორდენი დროშის ორდენით

1. ლეიტენანტი ვიტაუტას კაზიმირო **ბუბელისი.**
2. უფროსი ლეიტენანტი ნიკოლოზ ვასილის ძე **კოშკინი.**
3. უფროსი ლეიტენანტი ივანე სიმონის ძე **ტკაჩენკო.**
4. კაპიტანი თევდორე პავლეს ძე **ფედეტოვი.**

მედლით „მამაცობისათვის"

1. ეფრეიტორი ვალერი ვასილის ძე **ლარკინი.**
2. უმცროსი სერჟანტი ანატოლი დიმიტრის ძე **მალი.**
3. ეფრეიტორი ლევ პარმენის ძე **მალცევი.**
4. უმცროსი სერჟანტი სერგი სერგის ძე **მოსკვინი.**

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის"

1. რიგითი ალექსანდრე ფაშას ძე **ალიევი.**
2. სერჟანტი ალექსანდრე სტეფანეს ძე **ბესჩეტნოვი.**
3. ეფრეიტორი ვალდის ვალდემარის ძე **ლანდსმანისი.**
4. რიგითი ილმარ ოსვალდის ძე **ნაუტრასი.**
5. რიგითი ანტანას-ალვიდას ვინცო **რაულინავიჩუსი.**
6. ეფრეიტორი ანტანას-ალგირდას სტანისლავის ძე **სავიცკასი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 16 აგვისტო.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

130 ატლანტიკის ოკეანის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მეთევზეობის თაობაზე კონვენციის რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი კონვენცია ატლანტიკის ოკეანის ჩრდილოეთ-აღმოსავ-

ლეთ ნაწილში მეთევზეობის შესახებ, ხელმოწერილი სსრ კავშირის წარმომადგენლის მიერ ლონდონში 1959 წლის 29 იანვარს, **რატიფიცირებულ იქნას.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 18 აგვისტო.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

131 სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების დისციპლინური და შინაგანი სამსახურის წესდებების შესახებ

დამტკიცდეს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების წარმოდგენილი დისციპლინური და შინაგანი სამსახურის წესდებები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 23 აგვისტო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

განათლების საქმეში და კომუნიზმის სულისკვეთებით ახალგაზრდა თაობის აღზრდაში დიდი დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 15 აგვისტოს ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა თურქმენეთის სსრ მასწავლებლები და სახალხო განათლების მუშაკები, რომლებსაც პატივი ხვდათ არჩეული ყოფილიყვნენ თურქმენეთის მასწავლებელთა VI ყრილობაზე.

სულ დაჯილდოებულია 435 კაცი, აქედან: **ლენინის** ორდენით — 34 კაცი, **შრომის წითელი დროშის** ორდენით — 68, **„საპატიო ნიშნის“** ორდენით — 100 და მედლით **„შრომითი მამაცობისათვის“** — 233 კაცი.

* * *

განათლების საქმეში და კომუნიზმის სულისკვეთებით ახალგაზრდა თაობის აღზრდაში დიდი დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 16 აგვისტოს ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა ყირგიზეთის სსრ მასწავლებლები და სახალხო განათლების მუშაკები, რომლებსაც პატივი ხვდათ არჩეული ყოფილიყვნენ ყირგიზეთის სსრ მასწავლებელთა ყრილობაზე.

სულ დაჯილდოებულია 500 კაცი, აქედან: **ლენინის** ორდენით — 19 კაცი, **შრომის წითელი დროშის** ორდენით — 50, **„საპატიო ნიშნის“** ორდენით — 116 და მედლით **„შრომითი მამაცობისათვის“** — 315 კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ს ფ ს რ

ქალაქ მოსკოვის ფარგლების გაფართოება, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შეცვლა და მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოსათვის ტყე-პარკის საცავი სარტყლის ტერიტორიის ადმინისტრაციულ-სამეურნეო დაქვემდებარებაში გადაცემა

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულებით ქალაქ მოსკოვის ფარგლებში შეტანილ იქნა შემდეგი ქალაქები: ბაბუშკინი, კუნცევო, ლიუბლინო, პეროვო და ტუშინო, აგრეთვე მოსკოვის ოლქის მუშათა, საგარაკო დაბები და სასოფლო დასახლებული პუნქტები, რომლებიც იმყოფებიან მოსკოვის ირგვლივი საავტომობილო გზით შემოფარგლულ ტერიტორიაზე.

ქალაქ მოსკოვში არსებული 20 რაიონის ნაცვლად შეიქმნა შემდეგი 17 რაიონი: ბაუმანის, ძერჟინსკის, ჟდანოვის, კალინინის, კიევის, კიროვის, კრასნაია პრესნიას, კუიბიშევის, ლენინგრადის, ლენინის, მოსკვორეცკის, ოქტომბრის, პროლეტარული, სვერდლოვის, სტალინის, ტიმირიაზევისა და ფრუნზეზესი.

დროებით შენარჩუნებულია იმ ქალაქების, დაბებისა და სხვა დასახლებული პუნქტების მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოები, რომლებიც შეტანილია ქალაქ მოსკოვის ფარგლებში, მათი ქალაქ მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი რაიონული საბჭოებისათვის დაქვემდებარებით.

მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ადმინისტრაციულ-სამეურნეო დაქვემდებარებაში გადაცემულია დაახლოებით 180 ათასი ჰექტარი საერთო ფართობის ტყე-პარკის საცავი სარტყლის ტერიტორია ამ ტერიტორიაზე მდებარე ყველა ქალაქით, დაბითა და სასოფლო-დასახლებული პუნქტით.

ქალაქ მოსკოვის ტყე-პარკის საცავი სარტყლის ტერიტორიაზე შექმნილია შემდეგი რაიონები: ბალაშიხის, კრასნოგორსკის, ლიუბერცის, მიტიშჩისა და ულიანოვსკისა, ამ რაიონების მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოსათვის დაქვემდებარებით.

ზოგიერთი ცვლილებანი მოსკოვის ოლქის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულებით ქალაქ მოსკოვის ფარგლების გაფართოებასა დ: მის ირგვლივ ტყე-პარკის საცავი სარტყლის შექმნასთან დაკავშირებით მოსკოვის ოლქის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში შეტანილია შემდეგი ცვლილებანი:

ა) ბალაშიხის რაიონი გადარქმეულია **ზჩელკოვოს** რაიონად, მის ცენტრად დამტკიცებულია ქალაქი **ზჩელკოვო;**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) კრასნოგორსკის რაიონი გადარქმეულია **ისტრის** რაიონად. მის ცენტრად დამტკიცებულია ქალაქი **ისტრა.** ქალაქი ისტრა მიკუთვნებულია საოლქო დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიას, ისტრის საქალაქო და რაიონული საბჭოების გაერთიანებით ერთ ისტრის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოდ. ისტრის საქალაქო საბჭოს დაექვემდებარა დედოვსკის საქალაქო, ისტრის რაიონის სადაბო და სასოფლო საბჭოები, ისტრის რაიონის, როგორც ტერიტორიული ერთეულის, შენარჩუნებით;

გ) კუნცევოს რაიონი გადარქმეულია **ზვენიგოროდის** რაიონად. მის ცენტრად დამტკიცებულია ქალაქი **ზვენიგოროდი.** ქალაქი ზვენიგოროდი მიკუთვნებულია საოლქო დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიას, ზვენიგოროდის საქალაქო და რაიონული საბჭოების გაერთიანებით ერთ ზვენიგოროდის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოდ. ზვენიგოროდის საქალაქო საბჭოს დაექვემდებარა ზვენიგოროდის რაიონის სადაბო და სასოფლო საბჭოები, ზვენიგოროდის რაიონის, როგორც ტერიტორიული ერთეულის, შენარჩუნებით.

დ) ლიუბერცის რაიონი გადარქმეულია **რამენსკოეს** რაიონად. მის ცენტრად დამტკიცებულია ქალაქი **რამენსკოე;**

ე) მიტიშჩის რაიონი გადარქმეულია **კალინინგრადის** რაიონად. მის ცენტრად დამტკიცებულია ქალაქი **კალინინგრადი.** ქალაქები კალინინგრადი და კოსტინო გაერთიანებულია ერთ ქალაქად კალინინგრადის სახელწოდებით მისი საოლქო დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიაზე მიკუთვნებით;

ვ) ნიმკის რაიონი გადარქმეულია **სოლნეჩნოგორსკის** რაიონად. მის ცენტრად დამტკიცებულია ქალაქი **სოლნეჩნოგორსკი.** ქალაქი სოლნეჩნოგორსკი მიკუთვნებულია საოლქო დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიას, სოლნეჩნოგორსკის საქალაქო და რაიონული საბჭოების გაერთიანებით ერთ სოლნეჩნოგორსკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოდ. სოლნეჩნოგორსკის საქალაქო საბჭოს დაექვემდებარა სოლნეჩნოგორსკის რაიონის სადაბო და სასოფლო საბჭოები, სოლნეჩნოგორსკის რაიონის, როგორც ტერიტორიული ერთეულის, შენარჩუნებით;

ზ) ლენინოს რაიონი გაუქმებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელისმოწერა საყურადღებოდ!

1961 წლის 1 იანვრიდან „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები“ გამოვა თვეში სამჯერ.

თვითთეული ნომრის ფასი იქნება 10 კაპ.
წლიური ხელისმოწერა ეღირება 2 მან. 50 კაპ.

რედკოლეგია.

К вниманию подписчиков!

С 1 января 1961 года «Ведомости Верховного Совета Грузинской Советской Социалистической Республики» будут выходить в месяц три раза.

СТОИМОСТЬ КАЖДОГО НОМЕРА 10 КОП.
ГОДОВАЯ ПОДПИСКА — 2 РУБ. 50 КОП.

РЕДКОЛЛЕГИЯ.